სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

სხდომის თარიღი: 23 მარტი, 2023
ადგილმდებარეობა: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1

სხდომაზე მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ინგა სეხნიაშვილი, როინ მიგრიაული, ციცინო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, ნათია კორკოტაძე და თორნიკე ბაქრაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

შოთა ზალკალიანის და მარი ორჯონიკიძის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.
წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შოთა ზალკალიანის და მარი**

ორჯონიკიძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ლაშა ხურციძის, ლინდა დიასამიძის, გიორგი ბიძიშვილის, გაგა კენჭოშვილის და ილია ხონელიას განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლაშა ხურციძის, ლინდა დიასამიძის, გიორგი ბიძიშვილის, გაგა კენჭოშვილის და ილია ხონელიას მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ თამარ ჩანტლაძის და **საწევრო დავალიანების მქონე წევრების:** დავით სიმონიას, მერაბ ტყეშელაშვილის და ზვიად სურმანიძის განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2023 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა

შესახებ“ საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოვეწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს თამარ ჩანტლაძის და საწევრო დავალიანების მქონე წევრების: დავით სიმონიას, მერაბ ტყეშელაშვილის და ზვიად სურმანიძის განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ. ამასთან, 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. 2023 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების საკითხის განხილვა.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2023 წლის 23 მარტის მდგომარეობით, ასოციაციის 824 წევრს უფიქსირდება 2023 წლის საწევრო დავალიანება, ხოლო 43 წევრს - 2022 წლის და 29 წევრს - 2021 წლის საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან ასოციაციის თვითმიზანი არ არის წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა და ამავდროულად, წარმოდგენილია განცხადებები საწევროს გადავადების თაობაზე, მიზანშეწონილია, კოლეგებს მიეცეთ შესაძლებლობა ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელებით დაფარონ საწევრო დავალიანება. თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის გაგრძელება დამატებით 27 კალენდარული დღით - 2023 წლის 19 აპრილამდე.

ღია კენჭისყრაზე დადგა საკითხი 2023 წლის 16 თებერვალს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადის 27 კალენდარული დღით, ანუ 2023 წლის 19 აპრილამდე გაგრძელების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 2023 წლის 16 თებერვლის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებით დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და შესაბამისად, საწევრო დავალიანების დაფარვის ვადა გაგრძელდეს 27 კალენდარული დღით და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2023 წლის 19 აპრილი.

საკითხი 5. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში შემოსული საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ნინო ჩიმაკაძის, ვლადიმერ კიკნაძის, მარიამ სანებლიძის, ნიკოლოზ ზაქარაიას, თამარ ტატანაშვილის, ანა ყარასაშვილის, სოფიო ჩიხაშვილის, თამარ სანიკიძის, მაგული ლიპარტელიანის, მანანა აფხაძის, თინათინ მჭედლიშვილი, გიგა კოღუას, ირაკლი შელიას, ამირან შვანგირაძის, ნინო ამისულაშვილის,ედვარდ აღდგომელაშვილის, კახაბერ იოსელიანის, ნინო რურუას, ლამარა ბზიშვილის, გვანცა ასპანიძის, ლეილა თავამაიშვილის, ნატო ქარჩაიძის, ქეთევან მიქელაძის, ზვიად ტაბატაძის, ნინო დოლიძის (სიითი N1976), ხათუნა გოდერძიშვილის, ანნა შიშნიაშვილის, ია თოდუას, ნინო მიქატაძის, ხათუნა მანჯგალაძის, ალექსანდრე ახალაძის, თამაზ სვანიშვილის, დარეჯან ზედგენიძის, სპარტაკ კაპანაძის, გვანცა ჩადუნელის, აკაკი ლომსაძის, დიანა მარტიაშვილის, შორენა ბოჭორიშვილის, მამუკა ნინუას, გვანცა ჯოჯუას, მაია სირაძის, ინგა გუნიას, მაია გულიაშვილის, თამთა ზენაიშვილის და მარიამ ყაველაშვილის საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებებს.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ წარმოდგენილი განცხადებების განხილვა გადაიდოს და განხილულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: საწევრო დავალიანების გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა გადაიდოს იმ სხდომაზე, სადაც განხილულ იქნება ადმინისტრაციული წარმოება და განისაზღვრება შესაბამისი გადახდის ვადები.

საკითხი 6. ქეთევან სვანიძის განცხადების განხილვა ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ქეთევან სვანიძის განცხადებას ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) დაკმაყოფილდეს ქეთევან სვანიძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ქეთევან სვანიძის კანდიდატურა ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატის პროფესიული უფლებების კომიტეტის წევრად.

(ბ) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს საკომიტეტო საქმიანობის, კომუნიკაციისა და ანალიტიკურ საქმეთა დეპარტამენტის უფროსს.

საკითხი 7. 2023 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების თარიღების განსაზღვრა და საგამოცდო პროგრამის დამტკიცება.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრების მიაწოდა ინფორმაცია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგაზაფხულო სესიასთან დაკავშირებით და გააცნო საგამოცდო პროგრამა. განმარტა, რომ საგამოცდო პროგრამაში შევიდა ცვლილება, კერძოდ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, პროგრამას დაემატა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი გამოცდის სპეციალიზაციების შესაბამისად. ამასთან, სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, საკვალიფიკაციო გამოცდის თარიღებთან დაკავშირებით და განმარტა, რომ საგამოცდო ცენტრის დატვირთულობიდან, ასევე, აპლიკანტების რაოდენობიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გამოცდის ჩატარების სავარაუდო თარიღებად განისაზღვროს 2023 წლის 3,4,10,11 და 17 ივნისს (გასაჩივრების დღე).

წევრები გაეცნენ სხდომაზე წარმოდგენილ საგამოცდო პროგრამას და ინფორმაციას 2023 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდების თარიღების თაობაზე და **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (ა) დამტკიცდეს 2023 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდის საგამოცდო პროგრამა, სხდომაზე წარმოდგენილი სახით.**

(ბ) ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის საგაზაფხულო სესიის სავარაუდო საგამოცდო თარიღებად განისაზღვროს 2023 წლის 3, 4, 10, 11 და 17 ივნისი (გასაჩივრების დღე).

საკითხი 8. 2023 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პრიორიტეტული თემების დამტკიცება.

სასწავლო ცენტრის დირექტორმა სალომე ტყეშელაშვილმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში 2023 წლის პრიორიტეტული თემების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის თაობაზე. განმარტა, რომ კვლევის მიზანს წარმოადგენდა ასოციაციის წევრ ადვოკატთა ტრენინგ საჭიროებების შესწავლა შესაბამისი სასწავლო ღონისძიებების დაგეგმვა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ადვოკატთა ასოციაციის ანალიტიკური დეპარტამენტეის მიერ, შემუშავდა მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებდა როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას. თვისებრივი კვლევა, რომლის სამიზნე ჯგუფებსაც წარმოადგენდნენ ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტის თავმჯომარეები და თანათავმჯდომარეებისგან შემდგარი ფოკუს ჯგუფები, განხორციელდა სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუსური ჯგუფის დისკუსიის ტექნიკების გამოყენებით, ხოლო რაოდენობრივი კვლევა, ადვოკატის პორტალზე არსებული სტრუქტურირებული კითხვარით. რაოდენობრივ კველვაში მონაწილეობა მიიღო 569 ადვოკატმა. კვლევის შედეგად მიმართულებების მიხედვით გამოიკვეთა 2023 წლის პრიორიტეტული თემები, რომელიც სხდომაზე წარედგინათ წევრებს.

წევრები დეტალურად გაეცნენ კვლევის შედეგებს და მსჯელობის შემდეგ, წარმოდგენილი შედეგების შეჯერების საფუძველზე განისაზღვრა 2023 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პრიორიტეტული თემატიკა მიმართულებების შესაბამისად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს 2023 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პრიორიტეტული თემები სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

საკითხი 9. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) გელა ბერიაშვილის განცხადებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე და შეცვალოს სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გელა ბერიაშვილის განცხადება.

(ბ) ზაზა დიასამიძის, გედევან გელანტიას, ელენე ივანიძის, მარიამ გიორგაძის, გიორგი დოლიაშვილის, ინგა აღდგომელაშვილის და ბექა ბუტიკიშვილის განცხადებებს საკვალიფიკაციო გამოცდის საფასურისგან გათავისუფლების შესახებ.

სხდომაზე წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვოდა შესაბამისი მტკიცებულებები.

აღნიშნულ საკითხებზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ზაზა დიასამიძის, გედევან გელანტიას, ელენე ივანიძის, მარიამ გიორგაძის, გიორგი დოლიაშვილის, ინგა აღდგომელაშვილის და ბექა ბუტიკიშვილის განცხადებები და გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განმცხადებლებს.

(გ) სასწავლო ცენტრის დირექტორმა სალომე ტყეშელაშვილმა სხდომაზე წამროადგინა საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციის მსრუველი პირის (აპლიკანტ) გოდერძი არქანიას განათლების ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, გოდერძი არქანიას 2000 წლის 30 ივნიის, საქართველოს განათლების სამინისტროს ზუგდიდის უმაღლესი პოლიტექნიკური კოლეჯის მიერ მიენიჭა სამართალმცოდნეობის სპეციალობა.

წევრებმა განაცხადეს, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის ნამდვილობა, შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ განმცხადებელმა წარმოადგინოს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება, დოკუმენტის აღიარებისა და ნამდვილობის თაობაზე, რაც დაადასტურებს პირის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სრულად ან ნაწილობრივ გავლის, აგრეთვე მისთვის კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე სათანადო დოკუმენტის გაცემის ფაქტს და შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.

აღნიშნულ საკითხზე, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: განმცხადებელ, გოდერძი არქანიას დაევალოს წარმოადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება, წარმოდგენილი დოკუმენტის აღიარებისა და ნამდვილობის თაობაზე.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე